

STEM ოლიმპიადის დებულება 2025-2026 წელი

მუხლის 1. შინაარსი და რეგულირების სფერო

1. STEM ოლიმპიადა (შემდგომში ოლიმპიადა) წარმოადგენს სსიპ ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა - მათემატიკის N 199 საჯარო სკოლისა (შემდგომში კომაროვის სკოლის) და სს საქართველოს ბანკის ერთობლივ პროექტს;
2. ოლიმპიადის ჩატარების პოლიტიკას ერთობლივად შეიმუშავენ კომაროვის სკოლა და საქართველოს ბანკი;
3. დოკუმენტი განსაზღვრავს ოლიმპიადის ჩატარებისა და ოლიმპიადიაში მონაწილეობის პირობებს, ოლიმპიადის აქტივობებსა და გამარჯვებულის გამოვლენის წესებს.

მუხლი 2. ოლიმპიადის მიზანი

1. ოლიმპიადის მიზანია: საქართველოს მასშტაბით STEM განათლების ხელშეწყობა; მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები:
 1. საქართველოში მცხოვრები მოსწავლეების დაინტერესება STEM მიმართულებით;
 2. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში STEM სწავლების პოპულარიზაცია;
 3. STEM მიმართულებით დაინტერესებული მოსწავლეების წახალისება;
 4. საქართველოს მასშტაბით STEM -ის მოსწავლეების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 3. ოლიმპიადის ჩატარების ფორმატი და ეტაპები:

1. ოლიმპიადა ჩატარდება სამ ტურად:

- 1.1. ონლაინ შესარჩევი ტური - თეორიული ;
- 1.2. პირველი ტური - თეორიული ;
- 1.3. მეორე (ფინალური) ტური - პრაქტიკული.

2. პირველ ტურში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნება არაუმეტეს 100 გუნდს.

- 2.1. პირველი ტური ჩატარდება ფიზიკასა და მათემატიკაში ინდივიდუალური ფორმატით.
- 2.2. იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიადაზე დარეგისტრირდება 100-ზე მეტი გუნდი, პირველი ტურისთვის 100 გუნდის შესარჩევად, შესაძლებელია ჩატარდეს დამატებითი, ონლაინ, შესარჩევი ტური - გადაწყვეტილებას იღებს ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი;
- 2.3. ონლაინ შესარჩევი ტური (ჩატარების შემთხვევაში) ჩატარდება ფიზიკასა და მათემატიკაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გუნდის 5 მოსწავლე. ონლაინ შესარჩევი ტურის ჩატარების წესი განისაზღვრება დამატებით, საორგანიზაციო ჯგუფის მიერ, რაც წინასწარ ეცნობებათ დარეგისტრირებულ გუნდებს;

3. მეორე (ფინალური) ტური ჩატარდება გუნდური ფორმატით ციფრულ და ელექტრულ ინჟინერიაში;

4. ოლიმპიადის ორივე ტურის ხანგრძლივობა, ტესტის სტრუქტურა და ოლიმპიადის პროგრამა განისაზღვრება საორგანიზაციო ჯგუფის მიერ, განთავსდება სკოლის ოფიციალურ ვებგვერდებზე და ეცნობებათ მონაწილეებს.

მუხლი 4. გუნდის წევრების დაკომპლექტება

1. გუნდში უნდა იყოს ერთი სკოლის 5 მოსწავლე და 1 ლიდერი (ამავე სკოლის STEM მიმართულების რომელიმე საგნის მასწავლებელი);

2. გუნდის წევრები შესაძლებელია იყვნენ მე-7-დან მე-11 კლასის ჩათვლით მოსწავლეები;

3. გუნდის დაკომპლექტებისას ლიდერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პირველ ტურში გუნდიდან 3 მოსწავლეს მონაწილეობის მიღება მოუწევს მხოლოდ მათემატიკაში, ხოლო 2 მოსწავლეს - მხოლოდ ფიზიკაში.

4. თუ სკოლას გუნდის შესაქმნელად დასჭირდება შიდა შესარჩევი კონკურსის ჩატარება, ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი აღნიშნული სკოლის წარმომადგენლებისთვის გამოაქვეყნებს გზამკვლევს და ჩაატარებს ონლაინ კონსულტაციას/კონსულტაციებს, რომელზე დასწრებაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება.

მუხლი 5. ოლიმპიადაში მონაწილეობა/რეგისტრაცია

1. ოლიმპიადაში მონაწილეობა უფასოა;

2. ოლიმპიადაში რეგისტრაციის თარიღები, ტურების ჩატარების ვადები გამოქვეყნდება სკოლის ოფიციალურ ვებგვერდებზე.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო ან კერძო სკოლის გუნდს (გარდა ფიზიკა - მათემატიკური სტატუსის მქონე სკოლებისა);

4. ფიზიკა - მათემატიკური სკოლის გუნდებს მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ კონკურსგარეშე სტატუსით (აღნიშნული სკოლის გუნდებს ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი გამოცდილების მიღების მიზნით სთავაზობს პირდაპირ ფინალურ ეტაპზე მონაწილეობას, თუმცა მათი შედეგები არ გამოიანგარიშება და, შესაბამისად, ფიზიკა - მათემატიკური სკოლის გუნდები ვერც საპრიზო ადგილებს ვერ დაიკავებენ);

5. მონაწილეობისათვის გუნდმა რეგისტრაცია უნდა გაიაროს ელექტრონულად, შესაბამის პლატფორმაზე.

6. სკოლას ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღებისთვის შეუძლია მხოლოდ ერთი გუნდის დარეგისტრირება;

7. რეგისტრაციისას ივსება გუნდის ხუთივე წევრისა და ლიდერის განსაზღვრული მონაცემები.

8. გარდა მონაცემების შევსებისა, სარეგისტრაციო პლატფორმაზე უნდა აიტვირთოს სკოლის დირექტორის მიერ ხელმოწერილი და სკოლის ბეჭდით დამოწმებული ცნობა გუნდის წევრებისა და მათი ლიდერის აღნიშნულ სკოლაში (მოსწავლეებისთვის, შესაბამის კლასში) სწავლის/სწავლების ფაქტის დადასტურების შესახებ;

9. რეგისტრაციის დროს, გუნდის ყველა წევრის მონაცემების შევსებისას, უნდა მიეთითოს რომელ საგანში მიიღებს აღნიშნული წევრი მონაწილეობას პირველ (თეორიულ) ტურში (საჭიროების შემთხვევაში ონლაინ (შესარჩევ) ტურში).

მუხლი 6. ოლიმპიადის ონლაინ შესარჩევი ტური

1. ონლაინ ტური ჩატარდება ონლაინ ფორმატში.

2. ონლაინ ტურზე მათემატიკასა და ფიზიკაში წარმოდგენილი იქნება დახურულბოლოიანი დავალებები.

3. ონლაინ ტურიდან პირველ ტურში გადამსვლელთა რაოდენობას წყვეტს ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი.

4. თითოეულ საგანში (ფიზიკა, მათემატიკა), გუნდის შესაბამისი წევრების მიერ მიღებული ქულების პროცენტული მაჩვენებლების შეკრებით განისაზღვრება გუნდის მიერ მიღებული ონლაინ ტურის ჯამური ქულა.

5. ონლაინ ტურის შედეგები ინდივიდუალურად გაიგზავნება სკოლის წამომადგენლებთან (გუნდის მენტორებთან) მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

6. ოლიმპიადის ონლაინ ტურში მონაწილე, პირველ ტურში გადასული გუნდის წევრებმა უნდა გამოგვიგზავნონ შესაბამის ფოსტაზე პირადობის დამადასტურებელი ფოტოსურათიანი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, პასპორტი ან სკოლის მიერ გაცემული ფოტოსურათიანი და ბეჭდით დამოწმებული ცნობა).

მუხლი 7. ოლიმპიადის პირველი ტური

1. პირველი ტური ჩატარდება დასწრებულ ფორმატში.

2. ოლიმპიადის პირველ ტურში გადასულმა გუნდის წევრებმა უნდა დასრულებულ ტურზე უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი ფოტოსურათიანი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, პასპორტი ან სკოლის მიერ გაცემული ფოტოსურათიანი და ბეჭდით დამოწმებული ცნობა).

3. პირველ ტურზე მათემატიკასა და ფიზიკაში წარმოდგენილი იქნება ღიაბოლოიანი დავალებები.

4. თითოეულ საგანში (ფიზიკა, მათემატიკა), გუნდის შესაბამისი წევრების მიერ მიღებული ქულების პროცენტული მაჩვენებლების შეკრებით განისაზღვრება გუნდის მიერ მიღებული პირველი ტურის ჯამური ქულა (მეათედების სიზუსტით);

5. 10 საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი გადადის ფინალურ ტურში;

7. იმ შემთხვევაში, თუ გუნდების ქულათა ჯამით ვერ გამოვლინდა ზუსტად 10 საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი, ფინალში გადასასვლელად გათვალისწინებული იქნება შემდეგი გარემოებები, ამგვარი თანმიმდევრობით:

7.1. ერთმანეთს შედარდება პირველ ტურში გუნდების საუკეთესო შედეგის მქონე ერთი წევრის მიერ მიღებული ქულის პროცენტული მაჩვენებელი;

7.2. ერთმანეთს შედარდება პირველ ტურში გუნდების საუკეთესო შედეგის მქონე ორი წევრის მიერ მიღებული ქულების პროცენტული მაჩვენებლების ჯამი;

7.3. ერთმანეთს შედარდება პირველ ტურში გუნდების საუკეთესო შედეგის მქონე სამი წევრის მიერ მიღებული ქულების პროცენტული მაჩვენებლების ჯამი;

7.4. ერთმანეთს შედარდება პირველ ტურში გუნდების საუკეთესო შედეგის მქონე ოთხი წევრის მიერ მიღებული ქულების პროცენტული მაჩვენებლების ჯამი;

7.5. თუ ზემოთ ჩამოთვლილი ხუთი გარემოებით ვერ გამოვლინდა 10 საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი, ფინალურ ეტაპზე მონაწილეობას მიიღებს ყველა გუნდი, რომელთა ჯამური (პროცენტული) ქულაც მეტი ან ტოლი იქნება რეიტინგით მეათე ადგილზე მყოფი გუნდის ქულისა.

7. იმ შემთხვევაში, თუ გუნდის დარეგისტრირებული რომელიმე ერთი მოსწავლე როგორც ონლაინ, ასევე პირველ ტურში ვერ მონაწილეობს, მის ნაცვლად სხვა (დაურეგისტრირებელი) წევრის მონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ცნობების წარმოდგენითა და ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფთან შეთანხმებით (პირველი ტურის ჩატარებამდე არაუმეტეს ერთი კვირით ადრე). ასეთ შემთხვევაში, თუ გუნდი გადავა მეორე (ფინალურ) ტურში, ფინალურ ტურში გუნდის საბოლოო შემადგენლობას განსაზღვრავს სკოლა. ამ წესით შესაძლებელია ისარგებლოს გუნდის მაქსიმუმ ერთმა წევრმა.

მუხლი 8. ოლიმპიადის ფინალური ტური და გამარჯვებულის გამოვლენა

1. ფინალურ ტურში მონაწილეობისთვის ფინალურ ტურში გადასულმა გუნდის წევრმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი ფოტოსურათიანი დოკუმენტი;

2. ფინალურ ტურში გადასული თითოეული გუნდის ყველა წევრი დავალებებს შეასრულებს გუნდურად;

3. ფინალური ტურის დაწყებისას გუნდები განცალკევდებიან ოთახებში, სადაც დახვდებით ელექტრული კომპონენტების ნაკრები, კომპიუტერები და ყველა საჭირო მოწყობილობა. დავალებები იქნება პროექტის ტიპის, რომლებშიც მონაწილეებს მოუწევთ გარკვეული მოწყობილობების, მექანიზმების შექმნა და მათი მუშაობის წარდგენა. ამ დროს

ოთახში მყოფ მოსწავლეებს არ ექნებათ წვდომა ინტერნეტთან, ტელეფონებთან და სხვა მსგავს საკომუნიკაციო მოწყობილობებთან;

4. ფინალურ ტურში გამარჯვებულის გამოსავლენად ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი ქმნის ჟიურის.

5. სამუშაოს დამთავრების შემდეგ გუნდები შექმნილ პროდუქტებს (პროექტებს) ჟიურის წარუდგენენ;

6. ჟიური წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შეაფასებს თითოეული გუნდის მიერ შექმნილ პროდუქტს (შესრულებულ დავალებას) და გუნდს დაუწერს ქულებს;

7. ჟიურის წევრების მიერ დაწერილი ქულების შეჯამებით გამოვლინდება:

7.1. 1 გამარჯვებული გუნდი;

.2. 1 მეორე ადგილზე გასული გუნდი;

7.3. 1 მესამე ადგილზე გასული გუნდი.

8. საპრიზო ადგილზე გასული გუნდები და ფინალისტი გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებითა და სერტიფიკატებით.

9. თუ ფინალში გუნდების მიერ მიღებული ქულებით ვერ გამოვლინდა პირველი სამი საპრიზო ადგილი, რეიტინგის შესადგენად გათვალისწინებული იქნება შემდეგი

გარემოებები ამგვარი თანმიმდევრობით:

9.1. თანაბარქულიანი გუნდებიდან უფრო მაღალ ადგილს დაიკავებს გუნდი, რომელსაც დავალებების შესასრულებლად უფრო ნაკლები დრო დასჭირდა (1 წუთის სიზუსტით);

9.2. გუნდის მიერ პირველ ტურში დაკავებული რეიტინგი;

9.3. დამატებითი ტურის დანიშვნა, იქამდე სანამ საპრიზო ადგილები არ განაწილდება.

მუხლი 8. ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი

1. ოლიმპიადის ჩატარებას უზრუნველყოფს საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც განისაზღვრება კომაროვის სკოლის დირექტორის ინდივიდუალური - ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით;

2. საორგანიზაციო ჯგუფი პასუხისმგებელია ოლიმპიადის ჩატარებისა და ორგანიზების ყველა დეტალზე;

3. საორგანიზაციო ჯგუფი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები ამ დებულებით განსაზღვრული წესების შესაბამისად;

4. გარემოებებზე, რომლებიც არ რეგულირდება წინამდენარე დებულებით, გადაწყვეტილებას იღებს ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფი.

მუხლი 9. აპელაცია

1. საორგანიზაციო ჯგუფი პროცედურული და შედეგებთან დაკავშირებული სააპელაციო განაცხადების განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას;

2. სააპელაციო კომისია:

- 2.1. წინამდებარე წესის შესაბამისად განიხილავს ოლიმპიადის მონაწილე გუნდის ლიდერის მიერ კომისიის სახელზე დაწერილ სააპელაციო განაცხადებს ოლიმპიადის პროცედურასთან დაკავშირებით;
- 2.2. წინამდებარე წესის შესაბამისად განიხილავს ოლიმპიადის მონაწილე გუნდის ლიდერის მიერ კომისიის სახელზე დაწერილ სააპელაციო განაცხადებს ოლიმპიადის შედეგებთან დაკავშირებით.
- 2.3. განხილვის შედეგად მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას აცნობს საორგანიზაციო ჯგუფს, რომელიც უფლებომისილია, გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება.

მუხლის 10. ოლიმპიადის პროცედურული დარღვევების გასაჩვრება

1. პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებული განაცხადები წარედგინება სააპელაციო კომისიას ოლიმპიადის ჩატარების დღეს, ოლიმპიადის შესაბამისი ტურის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 საათისა;
2. პროცედურულ დარღვევასთან დაკავშირებით სააპელაციო განაცხადი მიიღება ელექტრონულად;
3. პროცედურული დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი განაცხადი შეიძლება ეხებოდეს:
 - 3.1. ოლიმპიადის მონაწილის უფლებების დარღვევას პროცესის მონაწილე სხვა პირის/პირების მიერ;
 - 3.2. ოლიმპიადის მონაწილის მიმართ პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას პროცესის მონაწილე სხვა პირების მიერ;
 - 3.3. მონაწილის უფლების დარღვევა სხვა გარემოების გამო.
4. კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განაცხადება, რომელშიც არ იქნება მითითებული პროცედურული დარღვევის არსი.
5. თუ სააპელაციო განაცხადის განხილვის შედეგად დადასტურდა მონაწილის მიმართ პროცედურული დარღვევა, რომელმაც არსებითი გავლენა იქონია შედეგზე, სააპელაციო კომისია შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

მუხლი 11. შედეგების გასაჩვრება

1. ოლიმპიადაში მონაწილის/გუნდის მიერ მიღებული პირველადი შედეგები საჩვრდება ელექტრონულად;
2. შედეგებთან დაკავშირებული სააპელაციო განაცხადების მიღების ვადები, ფორმა და საბოლოო შედეგების გამოქვეყნების ვადები საჯარო გახდება შესაბამისი ტურის პირველად შედეგებთან ერთად.
3. სააპელაციო კომისიამ განაცხადთან დაკავშირებით შეიძლება მიიღოს ერთ-ერთი ქვემოთ მოყვანილი გადაწყვეტილება:
 - ა) ქულის/შედეგის ცვლილების შესახებ;
 - ბ) ქულის/შედეგის უცვლელად დატოვების შესახებ;

4. საბოლოოს გადაწყვეტილება განსაზღვრულ ვადებში გამოქვეყნდება საბოლოო შედეგების სახით ან ეცნობება განმცხადებელს.

5. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადების განხილვისას ტესტის რომელიმე ვარიანტში გამოვლინდა ხარვეზი, სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, სწორი პასუხის შესაბამისად შეცვალოს პირველადი შედეგები ყველა მონაწილისათვის, რომელმაც წერა შესაბამისი ტესტი.

დანართი 1

STEM ოლიმპიადის ონლაინ შესარჩევი ტურის ჩატარების ინსტრუქცია.

ოლიმპიადაზე დარეგისტრირებულია 5 მოსწავლე:

- 2 მოსწავლე – ფიზიკაში
- 3 მოსწავლე – მათემატიკაში

➤ საოლიმპიადე სივრცის ორგანიზება

ონლაინ ტურისთვის სკოლამ უნდა უზრუნველყოს სკოლის სივრცეში ერთი ოთახი, რომელშიც, ერთდროულად განთავსდება მერხები ხუთივე მოსწავლისთვის, ერთმანეთისგან მინიმუმ 1,5 – 2 მ მანძილის დაშორებით.

როგორც ფიზიკის საგანით, ასევე მათემატიკის საგანით მონაწილე მოსწავლეებმა ონლაინ შესარჩევი ტურის დავალებები უნდა შეასრულონ ზემოთხსენებულ ერთი და იგივე ოთახში ერთდროულად. დავალებების შესრულების პროცესში მათ მერხებზე განლაგებული შესაძლებელია იყოს მხოლოდ:

- შესაბამისი საგნის (ფიზიკის/მათემატიკის) საოლიმპიადე ბილეთი (ბილეთები უნდა ამობეჭდოს სკოლის წარმომადგენელმა ონლაინ ტურის დაწყებამდე 10 წუთით ადრე);
- საწერი კალამი, სახაზავი, ტრასპორტირი, ფარგალი და მსგავსი დამხმარე საშუალებები
- წყალი, ხელსახოცი და ჰიგიენის ნივთები
- გამოუყენებელი თაბახის ფურცლები შავი სამუშაოსათვის

ონლაინ ტურის მიმდინარეობის დროს აღნიშნული ოთახიდან ონლაინ შეხვედრაზე (google meet შეხვედრაზე) ჩართული უნდა იყოს ორი ლეპტოპი/კომპიუტერი ვიდეოკამერით..

ორივე ლეპტოპში/კომპიუტერში ჩართულ google meet შეხვედრაზე ჩართული უნდა იყოს ვიდეოთვალი ისე რომ:

- ორივე ვიდეოკამერაში ჩანდეს ხუთივე მოსწავლე
- ორვე ვიდეოკამერა უყურებდეს ერთმანეთს და ამავდროულად ერთ-ერთში ჩანდეს ოთახში შესასვლელი კარი ერთ-ერთ ლეპტოპში ჩართული უნდა იყოს მიკროფონი

➤ **ოლიმპიადის ონლაინ შესარჩევი ტურის პროცედურა**

- თითოეული მოსწავლე მათემატიკასა და ფიზიკაში წერს **სხვადასხვა ვარიანტს**
- ტურის დაწყებამდე **10 წუთით ადრე** ჯგუფის მენტორთან იგზავნება საოლიმპიადე დავალებები;
- ტესტები იბეჭდება სკოლაში და შეაქვს მენტორს (ან მის დამხმარე პირს) მოსწავლეებთან ოთახში;

ოლიმპიადის დაწყებამდე:

- მენტორი ან მისი დამხმარე ოთახში შეიტანს ამობეჭდილ ბილეთებს, რომლებსაც დაურიგებს შესაბამის მოსწავლეებს:
(მათემატიკის ბილეთის პირველ ვარიანტს - მათემატიკის საგნით მონაწილე პირველ მოსწავლეს,
მათემატიკის ბილეთის მეორე ვარიანტს - მათემატიკის საგნით მონაწილე მეორე მოსწავლეს,
მათემატიკის ბილეთის მესამე ვარიანტს - მათემატიკის საგნით მონაწილე მესამე მოსწავლეს,
ფიზიკის ბილეთის პირველ ვარიანტს - ფიზიკის საგნით მონაწილე პირველ მოსწავლეს,
ფიზიკის ბილეთის მეორე ვარიანტს - ფიზიკის საგნით მონაწილე მეორე მოსწავლეს)
- ამის შემდეგ მენტორი ტოვებს საგამოცდო ოთახს;
- მოსწავლეები ვიდეოკამერაში აფიქსირებენ ბილეთებს სუფთა მდგომარეობაში (რომ მათზე მინიშნებები არ არის, ან პასუხები არ არის შემოხაზული).

ოლიმპიადის პროცესში:

- ვიდეოკამერები და ერთ-ერთი კომპიუტერის მიკროფონი მუდმივად ჩართულია;
- ოთახში არ უნდა იმყოფებოდეს სხვა პირი;

➤ **ოლიმპიადის დასრულების შემდეგ:**

- მოსწავლეებს პასუხებს გადააქვთ ტესტის ფურცელზე განთავსებულ პასუხების დასაფიქსირებელ ველში;
- ხელს აწერენ ნამუშევრებს;
- შევსებულ ნამუშევრებს ვიდეოკამერაში აფიქსირებენ;
- ამის შემდეგ გუნდის მენტორი/დამხმარე პირი, შედის საგამოცდო ოთახში, იღებს ნამუშევრებს, უღებს ფოტოებს და აგზავნის დამკვირვებლის ელფოსტაზე ან WhatsApp-ის ნომერზე (რომელიც მითითებული იქნება ჩატში)
- შესაძლებელია ფოტო ასევე გამოაგზავნოს ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლემ.

➤ ონლაინ ტურის რეპეტიცია

ონლაინ ტურის პროცედურის დაზუსტებისა და ტექნიკური მზადყოფნის შემოწმების მიზნით ჩატარდება პროცესის რეპეტიცია, რათა ყველა მონაწილე და პასუხისმგებელი პირი სრულად გაეცნოს პროცესს.